ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 05 ოქტომბრის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: გივი თხელიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 05 ოქტომბრის სხდომის
ოქმი N 16

2020 წლის 05 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, სულ საკრებულოს 23 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენელი:

მაია ალავიძე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,
ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,
თ, ბერიძე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
ნ. კაპანაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,
თ. გოგოლაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი
მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

მომხს: გივი თხელიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადებადღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის ანგარიში - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

თ. ფცქიალაძემ, რომელმაც მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის რაოდენობის შესახებ და მათ შორის ადგილობრივი შემოსავლების წილი რამდენს შესადგენდა.

ვ. ჭიპაშვილმა, დასმულ შეკითხვას უპასუხა,

პ. გოგოლაძემ, რომელმაც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს „ სახელით აღნიშნა, რომ საკრებულოში საფინანსო - საბიუჯეტო კომისია არის ერთ - ერთი კომისია, რომელიც მუშაობს გამართულად, საქმიანობას ვერავინ დაუწუნებს და ცდილობს მაქსიმალურად აკეთოს ყველაფერი, ფრაქციის სახელით კომისიის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების საკთხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0
თავი შეიკავა 1
გადაწყვეტილება მიღებული იქნა
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გივი თხელიძის ანგარიში - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის).
აზრი გამოთქვეს:
თ. ფცქიალაძემ, რომელმაც მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა თუ ჰქონდა სია იმ მოქალაქეებისა ვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაეხმარნენ.
გ. თხელიძემ უპასუხა, რომ ეს სია არ აქვს, მაგრამ შეუძია მოიპოვოს და მიაწოდოს
დ. კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული კომისიისა და მერიის შესაბამისი სამსახურის საქმიანობას აფასებს დადებითად
პ. გოგოლაძემ, რომელმაც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს „ სახელით აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობას აფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი
მომხრე 23
წინააღმდეგი 0
გადაწყვეტილება მიღებული იქნა
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ადგილზე გასვლით იქნა შესწავლილი კომისიის მიერ , არსებობს მოკვლევის აქტიც, რომ წინააღმდეგები არ არიან აღნიშნული მიწის

ნაკვეთი გასხვისდეს, მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ ზედამხედველობის სამსახურმა კონტროლი დააწესოს მშენებლობის პროექტზე, რადგან არ მოხდეს უკმაყოფილება

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი
მომხრ 23

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზ“ (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი
მომხრ 23

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**